



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 ნოემბერი 2023



N 667/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. წინწყაროში შპს „აგროპრომექსის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემისა და 33 600 მ<sup>3</sup> მოცულობის წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „აგროპრომექსის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. წინწყაროში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემისა და 33 600 მ<sup>3</sup> მოცულობის წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 29 მარტს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „აგროპრომექსის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სარწყავი სისტემა და 33 600 მ<sup>3</sup> მოცულობის წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობა მოეწყო 2022 წელს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2023 წლის 6 აპრილს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, შპს „აგროპრომექსის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №076563 ოქმი და ადმინისტრაციული წარმოების მასალები განსახილველად გადაეგზავნა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. წინწყაროში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ჯამურად 95,37 ჰა ფართობის მქონე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 84.22.31.020, 84.22.31.024, 84.22.31.026) კომპანიას გაშენებული აქვს ნუშის ბაღი, რისთვისაც ტერიტორიაზე მოწყობილია წვეთოვანი სამელიორაციო სისტემა, 33 600 მ<sup>3</sup> მოცულობის წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობა, მარტივი კონსტრუქციის მქონე ოფისი და ბიოტუალეტი. აღნიშნული ტერიტორიის ნაწილი, კერძოდ, 49,95 ჰა ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი (ს/კ: 84.22.31.020) წარმოადგენს შპს „აგროპრომექსის“ საკუთრებას, ხოლო 30,42 ჰა და 15 ჰა ფართობის მქონე მიწის ნაკვეთები (ს/კ: 84.22.31.024, ს/კ: 84.22.31.026) – შპს „აგროპრომექსი1“-ის საკუთრებას. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 2,3 კმ-ით, ხოლო წყალაღების წერტილიდან – 2,8 კმ-ით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ხრამი, მიედინება საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 400 მეტრში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნუშის ბაღის მორწყვის მიზნით გათვალისწინებული სამელიორაციო სისტემა წარმოდგენილია პოლიმერული მილებით (P100), რომლებიც ყოველ 1 მ-ში აღჭურვილია კომპენსირებადი საწვეთურით, ხოლო სარწყავი წყლის დაგროვების მიზნით მოწყობილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა წარმოდგენილია 70 მეტრი სიგრძის, 96 მეტრი სიგანისა და 5 მეტრი სიღრმის მქონე რეზერვუარით (33 600 მ<sup>3</sup>), რომლის მუშა მოცულობა შეადგენს 25 544 მ<sup>3</sup>-ს. რეზერვუარი დაფარულია ჰიდროსაიზოლაციო ფენით (გეომემბრანა) და განთავსებულია შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-471952, Y-4594218; X-471963, Y-4594289; X-471865, Y-4594307; X-471856, Y-4594239.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, ნუშის ბაღის სარწყავი წყლით უზრუნველყოფა ხორციელდება შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე რიცხული არხიდან, თუმცა, ვინაიდან, აღნიშნული არხიდან სამელიორაციო სისტემისთვის წყლის მიწოდება ხდება შეფერხებით, კომპანიის გადაწყვეტილებით დაიგემა საირიგაციო წყლის მდ. ხრამიდან აღება, რომელიც დაგროვდება საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილ წყალშემკრებ რეზერვუარში. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-471260 Y-4593631. მდ. ხრამიდან წყალაღება მოხდება 250 მმ დიამეტრის, ფილტრით აღჭურვილი, ლითონის მილის საშუალებით, რომელიც დაუერთდება ბეტონის ფილაზე მოთავსებულ, 100 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის (სიმძლავრე – 90 კვტ) მქონე მშრალი ტიპის ტუმბოს. აღნიშნული ტუმბოდან, 250-288 მმ დიამეტრის ლითონის მილის მეშვეობით, სარწყავი წყალი მიეწოდება 100 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის (სიმძლავრე – 90 კვტ) მქონე მეორე, ანალოგიური ტიპის ტუმბოს, რომელიც განთავსდება 4,5 მ<sup>2</sup> ფართობისა და 0,2 მ სიმაღლის ბეტონის ფილაზე, წყალაღების წერტილიდან დაახლოებით 490 მეტრში. აღნიშნული ტუმბოდან, 250-288 მმ დიამეტრის ლითონის მილის საშუალებით, სარწყავი წყალი დაუკავშირდება წყალშემკრებ რეზერვუარს. მაგისტრალური მილსადენის საერთო სიგრძე იქნება 1 030 მეტრი და იგი განთავსდება 60 სმ სიგანისა და 1-2 მ სიღრმის ტრანშეაში. მაგისტრალური მილსადენიდან სარწყავი წყალი გადანაწილდება ნუშის ბაღის ტერიტორიაზე მოწყობილ წვეთოვან სარწყავ სისტემაში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მაგისტრალური მილსადენისა და ტუმბოების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 15 დღეს. სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში, ერთი ექსკავატორის გამოყენებით და დასაქმდება 2-3 ადამიანი.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. ხრამის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. მდ. ხრამი სათავეს იღებს ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 2 422 მეტრ სიმაღლეზე და უერთდება მდ. მტკვარს, სოფ. შახლისთან. მდ. ხრამის სრული სიგრძე შეადგენს 201 კმ-ს, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი – 8 340 კმ<sup>2</sup>-ს. დოკუმენტის თანახმად, 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 906 მ<sup>3</sup>/წმ-ს, კალაპოტის ზოგადი წარეცხვის საშუალო სიღრმე – 3,76 მ-ს, ხოლო ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე – 6,02 მ-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნუშის ბაღის მორწყვა განხორციელდება სეზონურად, 7 თვის განმავლობაში (მარტი – 5 000 მ<sup>3</sup>, აპრილი – 5 000მ<sup>3</sup>, მაისი – 7 000მ<sup>3</sup>, ივნისი – 10 900მ<sup>3</sup>, ივლისი – 10 900მ<sup>3</sup>, აგვისტო – 10 900მ<sup>3</sup>, სექტემბერი – 7 000 მ<sup>3</sup>). კომპანიის მიერ წლის განმავლობაში სარწყავად აღებული წყლის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 56 700 მ<sup>3</sup>-ს. რეზერვუარის შევსება მოხდება, საჭიროებისამებრ, წელიწადში 2-3-ჯერ. დოკუმენტის თანახმად, ასაღები წყლის მოცულობის გათვალისწინებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული მაგისტრალური მილსადენისა და ტუმბოების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის, გამოსაყენებელი ტექნიკისა და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული მაგისტრალური მილსადენისა და ტუმბოების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის და გამოსაყენებელი ტექნიკის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ფუნქციონირების ეტაპს, ხმაურის წარმომქმნელი ძირითადი წყარო იქნება 2 ერთეული ტუმბო. დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული ტუმბოების წარმადობისა და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული მაგისტრალური მილსადენისა და ტუმბოების მოწყობის პროცესში, მოსალოდნელი არ არის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ნარჩენი შეგროვდება სპეციალურ კონტეინერებში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებას, აღნიშნული პროცესი, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ უკავშირდება ნარჩენების წარმოქმნას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას. საკვლევი არეალის ვიზუალური დათვალიერების ეტაპზე, საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ენდემური სახეობების ჰაბიტატი არ გამოვლენილა. ამასთან, მაგისტრალური მილსადენის დერეფანში არ ფიქსირდება მცენარეული საფარი, შესაბამისად, ხე-მცენარეების ჭრის საჭიროება არ დგას. აღსანიშნავია, რომ ტუმბოების განსათავსებლად გათვალისწინებული 4,5 მ<sup>2</sup> ფართობისა და 0,2 მ სიმაღლის ბეტონის ფილები ტერიტორიაზე შემოვა მზა სახით. გარდა ამისა, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: მაგისტრალური მილსადენისათვის განკუთვნილ ტრანშეაზე განთავსდება გადასასვლელი ფიცრები, ღამის საათებში აიკრძალება ტრანშეის ღია მდგომარეობაში დატოვება, ტრანშეაში ცხოველის მოხვედრის შემთხვევაში მოხდება მისი ამოყვანა და უსაფრთხო ადგილას გადაყვანა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წყალაღების წერტილში გათვალისწინებული ლითონის მილისა და ტუმბოს განთავსების პროცესში, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წყლის ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, რაც ძირითადად გამოიხატება ხმაურის გავრცელებით. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ მდინარის ნაპირთან ტუმბოს მოწყობისა და მდ. ხრამში მილის განთავსების სამუშაოები გავრცელდება მხოლოდ 2-3 დღის განმავლობაში. ამასთან, წყალაღებისათვის განკუთვნილი ლითონის მილი ადჰურვილი იქნება შესაბამისი ფილტრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, წყლის ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ხანმოკლე და უმნიშვნელო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წყალაღების წერტილის მიმდებარედ (500 მეტრიან რადიუსში) არ ფიქსირდება სხვა წყალმოსარგებლები, შესაბამისად, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, მაგისტრალური მილსადენისათვის განკუთვნილი ტრანშეის მომზადების პროცესში ექსკავირებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის, რომლის ზედაპირზეც განეფინება მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მაგისტრალური მილსადენისა და ტუმბოების მოწყობისათვის განკუთვნილი ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. აღსანიშნავია, რომ საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული 1 030 მ სიგრძის მაგისტრალური მილსადენის 653 მეტრიანი მონაკვეთისა და ერთი ტუმბოს (GPS კოორდინატები: X-471262; Y-4593635) განთავსების ტერიტორია წარმოადგენს „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებულ, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის, თეთრიწყაროს სატყეოს, კვარტალ 47-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის განცხადების საფუძველზე, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გაიგზავნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 და მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტების საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. წინწყაროში შპს „აგროპრომექსის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემისა და 33 600 მ<sup>3</sup> მოცულობის წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „აგროპრომექსი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აგროპრომექსის“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აგროპრომექსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

